ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5280658

ნომერი: AR1795503

თარიღი : 22.12.2020

გაცემის თარიღი : 08.02.2021

გაცნობის თარიღი : 12.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბეშენოვას ქუჩა N9 / ლიპტოვის ქუჩა N8; ქალაქი თბილისი , ბეშენოვას ქუჩა N30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ სურვილაძე პ/ნ 01024001606
- თბილისი კ.შევარდენიძის ქ. N 7 ბ. 41

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 318
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.10.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ სურვილაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"არქი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202360550

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: "ჯინო პარკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404906722
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რუსუდან გიორგაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018001223

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 67784.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 7527.12
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 37624.04
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 335.06
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1235.26
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 3970.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1750.54
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 917.21
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 9668.36
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 3156.94
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 1097.21
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 131701.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 113133.15
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 18568.35
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 29.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 24.95
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.25
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 7527.12 კ1=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 28613.07 კ2=0.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 30625.73 კ3=0.5
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 15493.06

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: მიუთითეთ 318 (#331; 13/11/2018; #3263849; 17/05/2017)

2.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: დღევანდელი სიტუაციით მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი განსხვავდება განაშენიანების რეგულირების გეგმის

პროექტისგან. საჭიროა აღნიშნული მოვიდეს შესაბამისობაში განაშენიანების რეგულირების გეგმასთან, დაცული იქნეს განაშენიანების რეგულირებით დადგენილი მიწის ნაკვეთის ფართობი და მიწის ნაკვეთის გამოჯვნის სქემა

3.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ზღვის „A" არეალში, სადაც სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია თბილისის ზღვის სანიტარიული დაცვის /წყალდაცვითი ზონის გათვალისწინებით, შესაბამისი ურბანული, გარემოსდაცვითი და სატრანსპორტო კვლევების საფუძველზე, ტერიტორიის მაქსიმალურად სარეკრეაციო ფუნქციით უზრუნველყოფის პირობით, წარმოდგენილი განაცხადი გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (წერილის ნომერი: 60-0120297887) პოზიციის დასაფიქსირებლად. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით.

4.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ უახლესი სიტუაციის ამსახველი ფოტოები გადაღების თარიღის ფიქსაციით.

5.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: ნაკვეთის ფართობი მიუთითეთ გრგ-ს შესაბამისად გამოჯნული ნაკვეთის მიხედვით

6.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გრგ-ს თანახმად შენობის სართულიანობა განსაზღვრულია 6 სართული, პროექტში 3,25 ნიშნულზე მოწყობილი და მიწისქვეშა სართული იანგარიშება სართულიანობაში და არ შეესაბამება შეთანხმებულ გრგ-ს.

7. შესაბამის ველში წარმოაგდინეთ საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

8. შესაბამის ველში საჭიროა წარმოადგინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

9. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: წარმოადგინეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თქვენი განცხადება გადაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი:60-01210392481) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით, რის შემდგომაც საჭიროა შემოაბრუნოთ განაცხადი განსახილველად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.